


ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



დადგენილება № 37

2018 წლის 1 მაისი

ხაშური



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 იანვრის №5 დადგენილებაში “საბიუჯეტო სახსრებიდან ხაშურის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლის“ სპორტსმენების, ნაკრები გუნდების, მწვრთნელების და წარმომადგენლების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას, კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ” ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:


მუხლი 1. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 იანვრის №5 დადგენილებაში „საბიუჯეტო სახსრებიდან ხაშურის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების – ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლის“ სპორტსმენების, ნაკრები გუნდების, მწვრთნელების და წარმომადგენლების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას, კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge 29/01/2015 ; 190040000.35.143.016314) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების დანართი №1-ის მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 7.

სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეთა კვების დაფინანსების მიზნით, ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის მიზნობრივ განკარგვაზე მონიტორინგს ახორციელებს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



მიხეილ ჯანაშვილი